ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

თბილისისა და მისი თითოეული რაიონის, უბნის ეფექტიანი და თანაბარი განვითარება და თბილისელებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა ქალაქის განვითარების კომპლექსური ხედვის არსებობას საჭიროებს. ამისათვის, „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა, კახა კალაძემ, მაღალკვალიფიციური ექსპერტების მხარდაჭერით, შეიმუშავა სიღრმისეულ ანალიზზე დაფუძნებული თბილისის განვითარების შვიდპუნქტიანი გეგმა - „სიცოცხლით სავსე ქალაქის პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტებია:

1. დედაქალაქის ურბანული განვითარების პროცესის მართვა;
2. სატრანსპორტო სფეროს ეფექტური რეგულირება;
3. ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
4. დედაქალაქის ეკონომიკური განვითარება;
5. განათლების, კულტურის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ახალგაზრდობაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება;
6. სოციალური პროგრამების განვითარება და ეფექტური მართვა;
7. დედაქალაქის მმართველობის გაუმჯობესება.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).

- თბილისის მერია შეიმუშავებს მუნიციპალური განვითარების გეგმას;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს თბილისელების დასაქმებას;
- განხორციელდება ღამის ეკონომიკის ინოვაციური კონცეფცია;
- შემუშავდება და განხორციელდება მსხვილი და საშუალო მასშტაბის საინვესტიციო პროექტები.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

- დასაქმების პრობლემა;
- ადამიანური რესურსის პროფესიული მომზადების და განვითარების საჭიროება;
- საკუთრების ლეგალიზების საკითხი 15,000-ზე მეტი მოქალაქისთვის;
- საცხოვრისის და განსახლების პრობლემა.
- ურბანული განვითარების პროცესის კონცენტრაცია მეტწილად საცხოვრებელ ინფრასტრუქტურაზე;
- საჯარო (მათ შორის სატრანსპორტო) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომლის გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

- მსხვილი და საშუალო საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება;
- ღამის ეკონომიკის სტრატეგია, ტურისტული ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება;
- მტკვრის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება;
- მუნიციპალური ტრანსპორტის და საჯარო ინფრასტრუქტურის (მათ შორის პარკების) განვითარება და გაუმჯობესება;
- კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება და პოპულარიზაცია;
- მუზეუმების, საგამოფენო სივრცეების და კინოთეატრების გახსნა ღამის საათებში.
- საერთაშორისო ღონისძიებების მოზიდვა/მასპინძლობა.
- ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური პროექტების განხორციელება.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ბიუჯეტის ზრდა, როგორც საკუთარი შემოსავლების, ისე სახელმწიფო ტრანსფერების ხარჯზე და ქალაქის ბიუჯეტი, პირველად მის ისტორიაში, 1 მილიარდ ლარს გადააჭარბებს;
- სიღრმისეული გათვლების საფუძველზე, გადაისინჯება ქალაქის საბიუჯეტო პრიორიტეტები და შემუშავდება მუნიციპალიტეტის ხარჯების ოპტიმიზაციის სტრატეგია;
- თბილისში შეიქმნება თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური მოდელი. კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვის შესაბამისად, განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვა თითოეული უბნისთვის, რომლის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უშუალოდ უბნის მოსახლეობა მიიღებს. აღნიშნული სახსრები, არსებითად, მიმართული იქნება უბნის კეთილმოწყობასა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. უზრუნველყოფილი იქნება გადაწყვეტილებათა მიღებისა და აღსრულების პროცესის ეფექტიანი კოორდინაცია მერიის შესაბამისი რგოლის მიერ.
- დამატებით, შეიქმნება ინოვაციური ონლაინ პლატფორმები მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის წასახალისებლად, მათ შორის, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო პეტიციების შესატანად და ა.შ.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად? ურბანული განვითარება/ ქალაქდაგეგმარება/ბინათმშენებლობა.

- თბილისის მერია შეიმუშავებს ქალაქის ქმედით ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც დაეფუძნება მუნიციპალური განვითარების გეგმას;
- შემუშავდება და განხორციელდება ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა;
- დაიგეგმება და განხორციელდება საჯარო-კერძო პარტნიორობის პროექტები;
- მოწესრიგდება სავაჭრო სივრცეები;
- შემუშავდება და განხორციელდება ტურისტული პოტენციალის უკეთ ათვისების სტრატეგია;
- გააქტიურდება თანამშრომლობა პარტნიორ მუნიციპალიტეტებთან;
- ამოქმედდება საგრანტო პროგრამები მცირე და საშუალო მეწარმეობის, თვითდასაქმებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშესაწყობად;
- მერია ყოველწლიურად დააფინანსებს 5,000 ადამიანისათვის პროფესიული და უწყვეტი სწავლების კურსებს ქალაქში ყველაზე მოთხოვნად პროფესიებში, მათი კვალიფიკაციისა და დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

- დამტკიცდება თბილისის განვითარების გენერალური გეგმა;
- გამკაცრდება ურბანული განვითარების მართვის პროცესი;
- გამკაცრდება კონტროლი მშენებლობის სტანდარტების იმპლემენტაციაზე;
- განხორციელდება სოციალურ საცხოვრისზე ორიენტირებული პროექტები;
- შემუშავდება ღამის ეკონომიკის სტრატეგია, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს გარეუბნებისთვის ახალი ფუნქციის მინიჭებას და ახალი უბნების განვითარებას, მიტოვებული სივრცეების ათვისებას;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ღამის საათებში, შეიქმნება ღამის ტურისტული მარშრუტები, მათ შორის, მტკვარზე განვითარდება სატრანსპორტო საშუალებები;
- გაუმჯობესდება ქალაქის გარე განათების სისტემა;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების, 20-29 წლის და 50 წელზე უფროსი მოქალაქეების, შშმ პირების, შშმ ბავშვების მშობლებისა და პრობაციონერთა სწავლებასა და დასაქმებას.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

- შეიქმნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სამარშრუტო სქემა, მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაქსიმალური სინქრონიზაცია, განისაზღვრება მგზავრობის მინიმალური სტანდარტი. მერია უზრუნველყოფს მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მარშრუტების ერთმანეთთან ადაპტირებას.
- დაინერგება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვისა და მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემის განახლებული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სადისპეტჩერო და საკონტროლო პროცესების დახვეწას, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის ერთიანი ცენტრის შექმნას, ანალიზისა და მარშრუტის ცვლილების მოქნილი მოდელის შემუშავებას.
- ავტობუსები აღიჭურვება სპეციალური GPS-სისტემებით, ავტობუსის გაჩერებებზე დამონტაჟდება ინტერაქტიული მონიტორები და შეიქმნება მუნიციპალური ტრანსპორტის აპლიკაცია, რომელითაც მოქალაქე მიიღებს სრულ ინფორმაციას სატრანსპორტო გადაადგილების შესახებ.
- მგზავრობის საფასურის გადახდის ახალი მოდელის მიხედვით მგზავრობის საფასურის გადახდა როგორც სამგზავრო, ისე ყველა ტიპის პლასტიკური ბარათის, აგრეთვე მობილური აპლიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი. შეღავათით კვლავაც ისარგებლებს მგზავრების 26 კატეგორია, მგზავრები კვლავაც ისარგებლებენ უფასო გადაჯდომის 90-წუთიანი სერვისით.
- გაგრძელდება თბილისის მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში. განხორციელდება მეტროს მოდერნიზაციის მასშტაბური პროექტი.
- გაგრძელდება თბილისის ავტობუსის პარკის განახლება:
    - ქალაქს მოემსახურება 700-ზე მეტი ერთეული თანამედროვე ტიპის 8-10-მეტრიანი ავტობუსი;
    - მერია შეისწავლის ახალ დერეფნებს და შექმნის ახალ პრიორიტეტულ საავტობუსე ხაზებს;
    - მოხდება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა;
    - სრულად განახლდება ავტობუსის გაჩერებები და მოხდება მათი ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებთან, დამონტაჟდება 500 ახალი გაჩერება;

- ეტაპობრივად მოწესრიგდება ტაქსების სექტორი იმგვარად, რომ ერთი მხრივ, შეიქმნას ტაქსის მძღოლებისთვის ეკონომიკურად მომგებიანი სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იყოს მომხარებელზე ორიენტირებული სტანდარტების დაცვა.

- განვითარდება საბაგირო ტრანსპორტი და მოხდება მისი ინტეგრირება სხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, მათ შორის მეტროსთან.
    - დასრულდება რუსთაველი-მთაწმინდის და მაღლივი-ბაგების საბაგიროების მშენებლობა, აგრეთვე დაპროექტდება და აშენდება სამგორი-ვაზისუბნისა და ახმეტელის თეატრი-ზღვისუბნის დასახლების საბაგირო ხაზები.
- მოხდება მტკვარზე წყლის ტრანსპორტის განვითარება ტურისტული მიზნებისთვის.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

- შეიქმნება სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც სავალდებულო იქნება გასათვალისწინებლად სხვადასხვა სახისა და მასშტაბის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ავტომაგისტრალების მშენებლობისას, სატრანსპორტო მარშრუტების დადგენისას, მშენებლობის კოეფიციენტის მინიჭებისას, მშენებლობის ნებართვის გაცემისას და ა.შ.
- შეიქმნება ტრანსპორტის მოთხოვნის მოდელი, ანუ სისტემა, რომელიც მუდმივ რეჟიმში დააკვირდება თბილისის ქუჩებს, ავტომატურად გამოთვლის სტატისტიკურ მონაცემებს, გამოავლენს ქალაქში არსებულ გადატვირთულ წერტილებს, შეაფასებს და აღმოფხვრის მოძრაობის შეფერხების გამომწვევ მიზეზებს, უზრუნველყოფს სატრანსპორტო სისტემაზე სხვადასხვა პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის მოდელირებას.
- საგზაო უსაფრთხოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გაძლიერდება მერიის შესაბამისი სამსახურის რესურსები, შემუშავდება საგზაო უსაფრთხოების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. გაიზრდება საფეხმავლო გზებისა და მიწისზედა გადასასვლელების რაოდენობა.
- უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო გარემოს შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ირგვლივ, შეიქმნება ავტოსაგზაო შემთხვევათა მონაცემების შეგროვების სისტემა ე.წ. შავი ლაქების გამოსავლენად და გასანეიტრალებლად.
- რეგულაციები სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. მუნიციპალიტეტის მხრიდან სრული მხარდაჭერა ექნება ტექნიკური დათვალიერების პროცესის შემოღებას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო უსაფრთხოებას და ეკოლოგიურ მდგომარეობას.
- დაწესდება სადისტრიბუციო, დასუფთავებისა და სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილების სტანდარტები.
- უზრუნველყოფილი იქნება საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზება.

- შემცირდება სიჩქარის ლიმიტი ხალხმრავალ ზონებში. მოწესრიგდება საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანებთან დაკავშირებული რეგულაციები.
- პარკირების უზრუნველსაყოფად განხორციელდება ახალი პროექტები.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის?

მომდევნო 4 წლის მანძილზე, თბილისის მასშტაბით მნიშვნელოვნად გაფართოვდება მრავალუწყებრივი თანამშრომლობა და ახალი ინიციატივები, რათა თბილისი გახდეს „ინკლუზიური ქალაქი“ ყველა თაობის შშმ პირისათვის:

- გაგრძელდება არასამეწარმეო იურიდიული პირების პროექტების დაფინანსება შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე გაგრძელდება 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი შშმ ბავშვების დახმარების, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სოციალურად დაუცველი უსინათლო პირების დახმარებისა და შშმ პირთა საკურორტო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის მმართველობაში არსებული ყველა ახალი ავტობუსის ადაპტირება. ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყობა მკვეთრი ფერის ტაქტილური პანდუსები. არსებული ავტობუსის მოსაცდელებიდან, სულ მცირე, 30% გახდება ადაპტირებული. მკვეთრი ფერის ტაქტილური პანდუსები მოეწყობა ასევე საფეხმავლო გზებზე. საზოგადოებრივ ტრანსპორტში დამონტაჟდება ხმოვანი განცხადებების სისტემა მხედველობის პრობლემის მქონე მგზავრებისათვის. დაიწყება თბილისის მეტროპოლიტენის ადაპტირების მასშტაბური პროექტი;
- უზრუნველყოფილი იქნება მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების მისაწვდომობა „უნივერსალური დიზაინისა“ და „გონივრული მისადაგების“ პრინციპების დაცვით;
- გაფართოვდება შშმ პირთა საცხოვრებლის ინდივიდუალური ადაპტირების პროგრამა. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი დამოუკიდებელი გადაადგილების პროცესი შშმ პირთათვის;
- მერია იზრუნებს შშმ პირთათვის საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, კულტურული დაწესებულებების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების ადაპტირებაზე;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და 315 ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება;
- დაინერგება „სკოლამდელი ინკლუზიის“ თბილისის მოდელი;
- გაგრძელდება მერიის მხარდაჭერა ყოველთვიურად საშუალოდ 3000-3500 პენსიონერის, შშმ პირის, მრავალშვილიანი ოჯახების წევრთა, ომის ვეტერანთა და სოციალურად დაუცველი პაციენტების საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

- თბილისის მერია ხელს შეუწყობს თბილისში კულტურული ტურიზმის განვითარებას, რისთვისაც თბილისი უმასპინძლებს მუსიკალურ, თეატრალურ და კინო ფესტივალებს.
- განხორციელდება პროექტი - Tbilisi Standing Performance, რომლის ფარგლებში, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის, გაიმართება მუდმივი, ყოველდღიური წარმოდგენები ნიუ-იორკის, ვენის და სხვა დიდი ქალაქების მაგალითზე.
- შეიქმნება ახალგაზრდული ცენტრები და ღია სივრცეები თბილისის ყველა რაიონში.
    - ახალგაზრდულ ცენტრებში გაერთიანდება შემეცნების, დასვენების, გართობისა და მასობრივი სპორტის სივრცეები;
    - ცენტრებში განთავსდება აუზი, ფიტნესდარბაზი, დარბაზები სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნები;
    - ღია სივრცეებში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა, დასვენება, კულტურულ-შემოქმედებითი საღამოების, ღია საჯარო ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, კომერციული ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება;
    - გლდანის რაიონში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე, მოეწყობა კულტურულ-გასართობი ცენტრი „რადიოქალაქი“, რომელიც გააერთიანებს კულტურულ, სპორტულ, საგამოფენო, გასართობ, რეკრეაციულ და კომერციულ სივრცეებს, კინოდარბაზებს, საბავშვო სათამაშო მოედნებს და მედიათეკას.

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

- ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ექსკლუზიური უფლებამოსილება და პრიორიტეტია. 2017 წელს დამტკიცდება საბავშვო ბაგა-ბაღების ახალი მუნიციპალური სტანდარტი (აღმზრდელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფრასტრუქტურის, კვების, ჰიგიენის, ინკლუზიისა და უსაფრთხოების სტანდარტები) და მერია ხელს შეუყობს ახალი სტანდარტით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ავტორიზაციას. დასრულდება 13 საბავშვო ბაღის მშენებლობა და აშენდება 20 ახალი საბავშვო ბაღი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, თბილისში დამატებით აშენდება 30-ზე მეტი სკოლა, 70-ზე მეტი სკოლის ინფრასტრუქტურა კი გაუმჯობესდება. დაფუძნდება 5 ახალი მასშტაბური სპეციალიზებული სკოლა უფროსკლასელებისათვის: ევროპული სკოლა ევროკავშირის ჩართულობით, „HTH საქართველო“ ამერიკული High Tech High-ის ლიცენზიით, “სახელობო“ სკოლა ისრაელის გამოცდილების გათვალისწინებით, სახელოვნებო სკოლა და STEM-სკოლა;

- მერია უზრუნველყოფს არაფორმალური სახელოვნებო და სპორტული განათლების ხელმისაწვდომობას ნიჭიერი მოსწავლეებისათვის;
- გაგრძელდება და დაიხვეწება მერის სტიპენდიის პროგრამა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეების მხარდაჭერა და სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების უმაღლესი განათლების თანადაფინანსება;
- პროექტი - შემოქმედებითი თბილისი, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საწარმოების შექმნასა და განვითარებას, ქალაქის ბრენდირებაში მეწარმეებისა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების ჩართვას, თბილისის სუვენირების პაკეტის დახვეწას, ხელნაკეთი ნივთების წარმოებას და თბილისის ქუჩების მოდერნიზებაში ახალგაზრდების ჩართვას (განსაკუთრებული აქცენტით Street Art-ზე).

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

მიღებული იქნება სპეციალური ზომები ღამის საათებში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დამონტაჟდება ვიდეომონიტორინგის დამატებითი კამერები.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სოციალურ დახმარებას შემდეგი პროგრამების გაგრძელებით:

- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების პროგრამის დაფინანსება;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი 500 ლარის დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ახალშობილებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა - ოჯახი ყოველ მესამე ახალშობილზე 800 ლარს, მეოთხეზე - 1,000 ლარს, მეხუთე და შემდეგ ახალშობილზე კი - 1,500 ლარს მიიღებს;
- საკურორტო-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკებში 10-დან 16 წლამდე ბავშვების დასვენების პროგრამა;
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების დაფინანსება არაფორმალური განათლების ცენტრებში;
- ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახების დახმარების პროგრამა;
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის დაფინანსება;

- სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება; (ბავშვთა მიტოვების პრევენციის ხელშეწყობასა და სოციალურად დაუცველი დედებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას ითვალისწინებს;
- შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, საწოლს ან სახლს მიჯაჭვულ პირებზე ვრცელდება;
- კომუნალური სუბსიდირების პროგრამა, რომელიც თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებზე ვრცელდება;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დევნილების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფას, მათ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ბინების დაკანონებას;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება თბილისში მცხოვრები დევნილი ოჯახებისთვის, რომლებმაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ვადამდე, სესხით შეიძინეს საცხოვრებელი ბინები. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი კრიტერიუმებით, განხორციელდება დევნილთა ფულადი დახმარებითა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- დანგრეული სახლების საკომპენსაციო თანხებით და ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტი იზრუნებს დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართების საკითხის მოწესრიგებაზე, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით;
- კერძო სექტორთან და საერთაშორისო დონორთან თანამშრომლობით, თბილისის მერია უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ჯგუფების ღირსეულ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობას.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

- მოხდება თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ეფექტიანი ფუნქციონირება და რესურსების გაუმჯობესება. განახლდება ავტოპარკი 70 ახალი სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებით. 100-მდე ავტომობილი აღიჭურვება პორტატული კომპიუტერებითა და ახალი საკომუნიკაციო სისტემებით. გამოძახებების გაფილტვრისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, 112-თან თანამრომლობით, დაინერგება დისპეტჩერიზაციის ახალი პროტოკოლები;
- გაგრძელდება თბილისის რაიონული გამგეობების მიერ ჯანდაცვის მიმართულებით დახმარება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსებისათვის;

- გაგრძელდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციური თერაპიის პროგრამა, რომელშიც 700 ბავშვია ჩართული;
- გაგრძელდება C-ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის პროგრამების დაფინანსება, რომლითაც დღემდე უკვე 20,000-მდე პაციენტმა ისარგებლა;
- გაგრძელდება ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის 200,000 ლარამდე ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა, რომლითაც გასული 3 წლის მანძილზე 60-ზე მეტმა პაციენტმა ისარგებლა;
- გაგრძელდება სარძევე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზის მქონე ქალების განსაკუთრებით ძვირადღირებული მედიკამენტით - ჰერცეპტინით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლითაც 2016-17 წლებში უკვე 248 პაციენტმა ისარგებლა;
- გაგრძელდება ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების პროგრამა ბავშვებისა და მოზარდებისთვის კრიზისული ხანმოკლე ინტერვენციისა და აქტიური (ასერტული) მკურნალობისთვის;
- გაგრძელდება დახმარება ყოველთვიურად, საშუალოდ, 3,000-3,500 პენსიონერის, შშმ პირის, მრავალშვილიანი ოჯახის წევრის, ომის ვეტერანის და სოციალურად დაუცველი პაციენტის საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების თანადაფინანსების უზრუნველსაყოფად;
- საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ და კერძო სექტორთან, თანამშრომლობით გაუმჯობესდება ინდივიდუალური ძვირადღირებული მკურნალობის ხელმისაწვდომობა თბილისის მოქალაქეებისათვის. პრიორიტეტი მიენიჭება ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ძვირადღირებული მედიკამენტების უკეთეს ხელმისაწვდომობას, იშვიათი დაავადებების მქონე ბავშვებისა და უფროსი ასაკის პაციენტების, ორგანოთა ტრანსპლანტაციისა და ენდოპროტეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის შესაძლო თანადაფინანსების პროექტების შემუშავებასა და დანერგვას;
- დონორ ორგანიზაციებთან თანანამშრომლობით თბილისში გაფართოვდება პაციენტთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისები;
- მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირება გადავა სრულად ელექტრონულ მართვაზე, რითაც გამრტივდება პროცედურები, შემცირდება დაფინანსების მიღებისთვის საჭირო დრო.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

- ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის დაფინანსება;
- უფასო სასადილოების ფუნქციონირების პროგრამა.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

- პირველ ეტაპზე, მიზანი ევროპული დედაქალაქების საშუალო მაჩვენებლებთან გატოლება, შემდეგ კი - ევროპის ყველაზე ჯანსაღ დედაქალაქებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებაა. ამისათვის მომზადდება შესაბამისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- ჩატარდება თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობისა და დაბინძურების გამომწვევი ძირითადი მიზეზების სიღრმისეულ კვლევა, რის საფუძველზეც მომზადდება თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კომპლექსური სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- გამკაცრდება მშენებლობის ეკოლოგიური სტანდარტები. სამშენებლო ნებართვების გაცემისა და კოეფიციენტის მინიჭებისას, გათვალისწინებული იქნება რეკრეაციისა და გამწვანების მაღალი სტანდარტი. გარდა ამისა, დაინერგება მაღალი სტანდარტი მშენებლობის პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციისთვის;
- დაინერგება ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ქმედითი სისტემა. დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა;
- გაიზრდება ეკოლოგიურად სუფთა საზოგადოებრივი ტრანსპორტის როლი ქალაქის ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტი იზრუნებს მტკვრის დაბინძურების პრევენციაზე.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოვებისა და განვითარებისთვის?

- შემუშავდება და განხორციელდება ქალაქის გამწვანებისა და რეკრეაციული სივრცეების შექმნა-განვითარების მასშტაბური გეგმა;
- აღდგება და განახლდება თბილისის ტყეები;
- დადგინდება თბილისში მდებარე 1,400-მდე სკვერისთვის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მინიმალური სტანდარტი;
- განახლდება ვაკის, რიყის, გოძიაშვილის, კიკვიძის და ვარკეთილის პარკები, ვერის, ალექსანდრეს და 9 აპრილის ბაღები და დიღმის ტყე-პარკი;
- გამწვანდება ვაჟა-ფშაველას, ჭავჭავაძისა და მოსკოვის გამზირები და აეროპორტის გზა. ძველი თბილისის ტერიტორიაზე საერთო მოცულობით 100 ჰა-მდე გამწვანებული სივრცე, საფეხმავლო რეკრეაციული ზონა შეიქმნება.
- თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მოეწყობა თბილისის ახალი ზოოპარკი და განახლდება თბილისის დენდროლოგიური პარკი.
- განახლდება მზიურის პარკი, რომელსაც შეუერთდება ძველი ზოოპარკის ტერიტორია.
- ქალაქში მდებარე გაზონები და ღია მიწის გრუნტი დაიფარება ბალახით;
- გამგეობები უზრუნველყოფენ სახლის ეზოების გამწვანებას.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

თბილისის მერია მიიღებს ყველა ზომას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ჯანსაღი ქალაქების ქსელში თბილისის გასაწევრიანებლად, რისთვისაც შეიქმნება მზრუნველი გარემო თითოეული მოქალაქისთვის, დაინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესი და განვითარდება ჯანსაღი ურბანული გარემო.

თბილისი

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

- შეიქმნება კომფორტული პირობები ქვეითებისა და ველოტრანსპორტის გადაადგილებისთვის;
- ქალაქგეგმარების მსოფლიოში აღიარებული პრინციპების გათვალისწინებით, პრიორიტეტი გახდება საფეხმავლო ზონების გაფართოება, ისეთი საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც შეამცირებს მოძრაობის სიჩქარეს, განსაკუთრებით იმ ზონებში, სადაც გზის მომხმარებელი მოწყვლადი ჯგუფებია (სკოლები, საცხოვრებელი ზონები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები და მშენებლობის მიმდებარე ადგილები);
- შეისწავლება ქალაქის ცენტრალურ უბნებში ახალი საფეხმავლო ქუჩების შექმნის შესაძლებლობა;
- შემუშავდება და გატარდება არამოტორიზებული ტრანსპორტის განვითარების გეგმა და მიიღება ზომები მისი პოპულარიზაციისათვის;
- შეიქმნება ახალი ველობილიკები და მოხდება მათი ინტეგრირება ერთიან საატრანსპორტო სისტემასთან;
- მოეწყობა ველოსადგურები ისეთი ტიპის ობიექტებთან, როგორიცაა უნივერსიტეტები, სავაჭრო და საოფისე ცენტრები, ადმინისტრაციული შენობები და სხვა.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

- თბილისში დაინერგება პარკირების გამართული სისტემა;
- ერთიანი გეგმის შესაბამისად, განვითარდება ახალი საპარკინგე სივრცეები და მიწისქვეშა და მიწისზედა პარკინგების ინფრასტრუქტურა;
- შეიზღუდება ტროტუარებზე პარკირება;
- ცენტრალურ უბნებში შემოღებული იქნება საათობრივი პარკირება კომერციული ავტომობილების მფლობელებისა და გასართობი დაწესებულებების სტუმრებისათვის;
- ამოქმედდება ჯარიმების სამართლიანი სისტემა, მომზადდება პირობები, რათა პარკირების მენეჯმენტი განხორციელდეს უშუალოდ მუნიციპალური სამსახურის მიერ.

თბილისის საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მომდევნო 4 წლის განმავლობაში, განხორციელდება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- მტკვარზე აშენდება ახალი სახიდე გადასასვლელი, რომელიც ერთმანეთს დააკავშირებს გელოვანის გამზირსა და სამტრედიის ქუჩას;
- მოეწყობა გელოვანის გამზირისა და მ. მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ორკილომეტრიანი, სამზოლიანი საავტომობილო გზა;
- აშენდება ვაშლიჯვრის დასახლებიდან გელოვანის გამზირზე ჩამოსასვლელი ესტაკადა;
- უნივერსიტეტი-თამარაშვილის კვანძის განსატვირთად, მდინარე ვერეზე აშენდება უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდი, აგრეთვე აშენდება ესტაკადა უნივერსიტეტისა და თამარაშვილის ქუჩების კვეთაზე;
- აშენდება თამარაშვილის ქუჩისა და ყაზბეგის გამზირის დამაკავშირებელი გვირაბი;
- აშენდება პანდუსი გალაკტიონის ხიდის მარცხენა სანაპიროზე;
- მოეწყობა კვანძი ცინცაძისა და კარტოზიას ქუჩების კვეთაზე;
- აშენდება ზემო და ქვემო ფონიჭალის დამაკავშირებელი გზა და გვირაბი;
- აშენდება ხიდი მტკვარზე, „დირსის“ დასახლებასთან;
- აშენდება სტიქიის შედეგად დაზიანებული წყნეთი-ახალდაბის გზის ალტერნატიული ნაფეტვრები-ახალდაბის გზა;
- ჩატარდება საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის კვანძიდან ლოჭინის ხიდამდე;
- მოეწყობა კვანძი ბელიაშვილისა და ბალანჩინის ქუჩების გადაკვეთაზე;
- აშენდება რუსთავის გზატკეცილიდან ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდი და გზა;
- ჩატარდება მეტეხის გვირაბის რეაბილიტაცია;
- ჩატარდება სარაჯიშვილის გამზირზე გლდანულას ხიდების რეაბილიტაცია;
- მოეწყობა დიდი დიღომი-წერეთლის გამზირი-მარჯანიშვილის მოედნის 14-კილომეტრიანი დერეფანი;
- დიდი დიღომი-მეტროსადგური ,,უნივერსიტეტის" დერეფანი გადაკვეთს დიდუბეს და გაგრძელდება საბურთალოს ტერიტორიაზე ახალ სადგურამდე;
- აშენდება საბურთალო-ვაკე-გულიას ხიდი: ეს ხაზი შექმნის ძალიან საჭირო და სწრაფ კავშირს საბურთალოსა და ვაკეს შორის.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობის მიზნით, მოხდება არსებული პროგრამების და სერვისების შეფასება და შესაბამისად, მათი განახლება სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან ერთად.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

ავარიული შენობა-ნაგებობების ეტაპობრივი ჩანაცვლების მიზნით, შემუშავდება და განხორციელდება პროექტები კერძო სექტორთან ერთად. ისტორიული და კულტურული დანიშულების მქონე შენობები აღდგება და დაცული იქნება სათანადოდ.

5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

ქალაქის ისტორიული ნაწილი და მემკიდრეობა იქნება დაცული და შენახული სათანადოდ. კერძოდ, შენობა-ნაგებობებს დარგის ექსპერტების ჩართულობით ჩაუტარდება აღდგენითი, სარეზერვაციო და განახლების სამუშაოები. ძველი თბილისის განვითარება მოხდება ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

კიდევ ერთი დერეფანი, რომლის შესაქმნელადაც საჭიროა ახალი გზის მშენებლობა, ჩაანაცვლებს სარკინიგზო კორიდორს და გააერთიანებს დიდუბისა და სამგორის სადგურებს. დერეფანი ქალაქს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მაღალი ხარისხის კავშირს შესთავაზებს. განიხილება ხაზის გაფართოება კახეთის გზატკეცილის გასწვრივაც, როგორც დამატებითი კავშირის შესაძლებლობა ინდუსტრიულ არეალებთან. თბილისის რკინიგზის ხაზთან დაკავშირებული პროექტის განხორციელების შედეგად, დედაქალაქის შუაგულში გამოთავისუფლდება 70 ჰა-ზე მეტი ტერიტორია. ამ ტერიტორიის მცირე ნაწილს (დაახლ. 10 ჰა) დაიკავებს ახალი ავტომაგისტრალი, გადასასვლელები, ხიდები და ა.შ., დარჩენილი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი კი მოხმარდება რეკრეაციას და ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებს.